

- იმ პაციენტებისათვის, ვინც უკვე მკურნალობს ინტერფერონით და სურვილი ექნება, რომ ისარგებლოს ფასდაკლებით, HCV რნმ-ის რაოდენობრივი კვლევის ჩატარების ვადებს განსაზღვრავს კომისია, რაც წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

8 ვადავი

- პაციენტთა რეგისტრაცია დაიწყო 2014 წლის 1 თებერვალს.
- კომისიის პირველი სხდომა გაიმართება თებერვლის ბოლოს.
- პირველ ეტაპზე კომისიის გადაწყვეტილებები (დადებითი გადაწყვეტილების ან დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროების ან დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ) შუალედური წერილების სახით დაეგზავნება განმცხადებლებს, ეტაპობრივად, თებერვლის ბოლოდან.
- მედიკამენტის ფასდაკლებით შესყიდვა შესაძლებელი იქნება 2014 წლის 1 ივლისიდან.
- იმ შემთხვევაში, თუ პაციენტმა, რომელსაც ამ დრომდე არ უმკურნალია/არასდროს მიუღია ინტერფერონი, და პირველად იწყებს ინტერფერონით მკურნალობას, მიიღოს კომისიის დადებითი გადაწყვეტილება, ამასთან თუ იგი მზადაა 1 ივლისიდანვე შეიძინოს მედიკამენტი და დაიწყოს მკურნალობა, 1-დან 30 ივნისის ჩათვლით ვადაში უნდა ჩაიტაროს HCV რნმ-ის რაოდენობრივი კვლევა და შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში.

9 სად შეიძლება მედიკამენტის ფასდაკლებით შეიძინო?

- მედიკამენტის შეძენა შესაძლებელი იქნება შემდეგ აფთიაქებში:
 - 1) თბილისი, იოსებძის ქ. №60 ტელ: 2-38-87-9 აფთიაქი PSP №39
 - 2) ქუთაისი, ბროსეს ქ. №5 ტელ: (0-431) 25-04-10 აფთიაქი PSP №11
 - 3) ბათუმი, ი. გოგებაშვილის №32 ტელ: (0-422) 22-45-86 აფთიაქი PSP №14



გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სოციალური მომსახურების სააგენტო



C ჰეპატიტით დაავადებული პირებისათვის

C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტოზური მკურნალობის სარგებლობის შესახებ

1 რას გულისხმობს „C ჰეპატიტის პროგრამა“ სამოქალაქო სექტორისათვის?

„C ჰეპატიტის პროგრამა“ სამოქალაქო სექტორისათვის გულისხმობს C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე ფასდაკლების გავრცელებას. კერძოდ, 1 ამპულა პეგილირებული ინტერფერონისა და 1 კოლოფი რიბავირინის ღირებულება განისაზღვრება 92,88 აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, რაც 60%-ით ნაკლებია არსებულ საბაზრო ფასთან მიმართებაში.

2 ვის შეუძლია ისარგებლოს ფასდაკლებით?

ფასდაკლებით სარგებლობა შეუძლიათ C ჰეპატიტით დაავადებულ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, პირადობის ნეიტრალური მონუმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

3 ფასდაკლებით ვერ ისარგებლებენ:

- ბრალდებული/მსჯავრდებული პირები, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში (ისინი სარგებლობენ სასჯელაღსრულების სისტემაში C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის პროგრამით);
- აივ ინფექცია/შიდსით ინფიცირებული პირები (ისინი გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში მიიღებენ შესაბამის მკურნალობას უფასოდ).
- ასევე, პაციენტები ისეთი დიაგნოზებით, რომელთა დროსაც C ჰეპატიტის მართვის გაიდლაინის შესაბამისად, უკუნაჩვენებია მკურნალობა. კერძოდ:
 - არაკონტროლირებადი დეპრესიის დროს;
 - ორგანო (გული, ფილტვი, თირკმელი) ტრანსპლანტირებული პირებისთვის (გარდა ღვიძლისა);
 - აუტოიმუნური ჰეპატიტის ან სხვა აუტოიმუნური დაავადებების დროს, რომლებიც შესაძლოა დამძიმდეს ინტერფერონით და რიბავირინით მკურნალობის დროს;

- არანამკურნალები ან არაკონტროლირებადი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების დროს;
- ორსულები, ან ის პირები, რომლებიც არ აკონტროლებენ დაორსულების პროცესს ადექვატური კონტრაცეფციური საშუალებებით;
- მძიმე თანმხლები დაავადებები: ლვიძლის მძიმე დეკომპენსაცია, მძიმე ჰიპერტენზია, გულის უკმარისობა, გამოსატყული გულის კორონარული(იშემიური) დაავადება, ცუდად კონტროლირებადი დიაბეტი, ფილტვების ობსტრუქციული დაავადება, ფსიქოზი, გულყრები და სხვა;
- 2 წელზე ქვევით ასაკი;
- მომატებული მგრძობელობა ანტივირუსული მედიკამენტების მიმართ;
- გამოსატყული ლეიკოპენია;
- გამოსატყული თრომბოციტოპენია;
- გამოსატყული ნეიტროპენია.

4 როგორ უნდა მიიღოს პაციენტმა ფასდაკლებით სარგებლობის უფლება?

ფასდაკლებით სარგებლობის უფლების მისაღებად, პაციენტმა ან მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა 2013 წლის 1 თებერვლიდან განცხადებით უნდა მიმართოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), ან სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს დედაქალაქის და ქვეყნის მასშტაბით. უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მონმობის ასლი და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №IV-100/ა, რომელშიც მითითებული იქნება სრული ინფორმაცია დაავადების თაობაზე.

5 რა მოთხოვნები არსებობს ფორმა №IV-100/ა-ს მიმართ?

- ფორმა №IV-100/ა გაცემული უნდა იყოს შესაბამისი უფლების (ნებართვის) მქონე სამედიცინო დაწესებულების მიერ.
- ფორმა №IV-100/ა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ჩატარებული კვლევების (კვლევების ჩატარების თარიღის მითითებით), მათი შედეგების და მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შესახებ.
- ჩატარებულ კვლევებში იგულისხმება: HCV რნმ-ის თვისობრივი, HCV გენეტიკური ტიპის, ლვიძლის ფიბროზის ხარისხის კვლევები. ასევე, მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელი სხვა გამოკვლევები, მკურნალი ექიმის გადანყვეტილების შესაბამისად.

6 რას უნდა ელოდოს პაციენტი სააგენტოში განცხადების ჩაბარების შემდეგ?

- სააგენტოში განცხადების ჩაბარების შემდეგ, ხდება პაციენტის დარეგისტრირება საინფორმაციო ბაზაში, ხოლო მისი დოკუმენტაცია განიხილება „C ჰეპატიტით დაავადებული პირებისათვის C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე შეღავათით

სარგებლობის უფლების განმსაზღვრელი კომისიის“ მიერ. კომისიის შემადგენლობა დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით და ხელმისაწვდომია სამინისტროს ვებ-გვერდზე.

- კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ (დაგროვილი განცხადებების რაოდენობის შესაბამისად).
- კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით ეცნობება განმცხადებელს.
- კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პაციენტმა (რომელიც პირველად იწყებს ინტერფერონით მკურნალობას) დამატებით უნდა ჩაიტაროს HCV რნმ-ის რაოდენობრივი კვლევა მკურნალობის დაწყებამდე არაუმეტეს 30 დღის ვადაში და კვლევის შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში.
- კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში და პაციენტის მიერ HCV რნმ-ის რაოდენობრივი კვლევის შედეგების წარმოდგენის საფუძველზე, სააგენტო უზრუნველყოფს თანხმობის წერილის გაცემას ხელზე არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა, ან, შემაფერხებელი გარემოებების შესახებ წერილობით აცნობებს განმცხადებელს. პირველ ეტაპზე თანხმობის წერილების გაცემა დაიწყება 2014 წლის 1 ივლისიდან.
- პაციენტმა, თანხმობის წერილის მიღებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში, უნდა მიმართოს შესაბამის აფთიაქს მედიკამენტის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხმობის წერილი ჩაითვლება გაუქმებულად.
- აფთიაქში მედიკამენტის მისაღებად პაციენტმა, ან მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა უნდა წარადგინოს: (1) თანხმობის წერილი, (2) პირადობის დამადასტურებელი მონმობა და (3) მკურნალი ექიმის მიერ გაცემული რეცეპტი.
- ერთროულად (ერთ ჯერზე) შესაძლებელია არაუმეტეს ერთი თვის სამყოფი რაოდენობის მედიკამენტის შექენა.
- მკურნალობის დაწყებიდან 12 კვირის ვადაზე პაციენტმა (რომელიც პირველად იწყებს ინტერფერონით მკურნალობას) განმეორებით უნდა ჩაიტაროს ვირუსული დატვირთვის კვლევა. თუ, ამ ვადაზე, ექიმი გადაწყვეტს მკურნალობის გაგრძელების აუცილებლობას, პაციენტმა სააგენტოში უნდა წამოადგინოს განახლებული ფორმა №IV -100/ა.

7 კომისიის სხვა გადანყვეტილებები:

- პაციენტის მიერ არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, კომისია ადგენს რეკომენდაციას დამატებით წარმოსადგენი და/ან ჩასატარებელი კვლევების შესახებ. სააგენტო უზრუნველყოფს პაციენტების წერილობით ინფორმირებას აღნიშნულის თაობაზე.